

3-47.

საქართველოს
საბჭოთავო
საბჭოთავო

ბოტბეშო



№ 4

სადარჯულზე

1930

მ. მ. მ. მ.

ხსრა წლის თავზე

ზამთრის ჩვეულებრივი დღე ტფილისში, — ცივი, სუსხიანი.

არსნაოს შევერცხლოლი მიღამოები ამაყად დაყურებს თავზე ნაცრისფერ ქალაქს.

ხანდახან შშრაოდ თოვს. ხან კიდევ მზეც იკიატებს და ისევ თავს იმა-

ლავს ტყვისფერ ღრუბლებში. ბოლავს ქარხნების საკვამურები...

ზუზუნებს საყვირი დრომდამოშვებით. ჩვეულებრივი შრომის აურზაური ტრიალებს ყველგან.

— დღეს ხომ 25 თებერვალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე? — კითხულობს ერთი.

— მერე?
— მერე და რატომ მუშაობენ?

— განუწყვეტელი საწარმოო კვირა...
— ააა?! — მოიქეჭა თავი პირველმა.

აგუგუნდა ერთხმად საშაბაშო საყვირები... მუშათა მწყრივებმა დაფარა ქუჩები.

დაიტყვირდა სადემონსტრაციო მთავარი მაგის-ტრალი, და ათეული ათასი დემონსტრანტი შეგუბდა ყოველ მოსახვევში.

უკრავს მუსიკა: სიმებიანი თუ სასულე ორკესტრი, თარი, ფანდური...

ძველი თუ ახალი ტფილისის მემუსიკენი დამღვანარ ფეხზე.

სასახლის წინ ამართულა ტრიბუნა. ტრიბუნაზე — საქართველოს კომპარტიის (ბ) უზუ-

ცესი ბელადები, ხელმძღვანელები... ქარნაული დაიწყო.

დაიწყო, მაგრამ... როლის უნდა ჩაუაროს სახეიმო ტრიბუნას მო-

ზღვევებულმა მუშათა რიგებმა! დაბინდა.

ცივა... ანათეს საქარნაულო სანათურები.

ყველაფერს თავის დრო და შნო აქვს, თორემ... ზაშვისი ეფრესთან რა გამოსაჩენია ჩირალდნები?

მოდის ზღვა მწყრივები. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მოჩანს შშრო-

მელთა რიგებში, პიონერებთან ერთად და... ათი-თორმეტი წლის წინამძღოლი (ცხადია, პიო-

ნერი) ხელმძღვანელობს ერთ-ერთ გუნდს...

მოდიან: ტფილისის სიამაყე — მთავარსახელოსნოსა და დეპოს მუშები;

ტრამაველები; მეტყავეები; მეთამბაქოები;

მოდიან ფაბრიკლები... პროლეტსტუდენტები, მოწაფეები, პიონერები და სხვანი წითელ ჯართან,

პარტიის წევრებსა და კომკავშირელებთან ერთად... მოდიან ავტოებით...

ავტობებზე პერში დაფრიალებს სხვადასხვა ნი-

ლაბი. ნიღბები: კულაკების, „დამოუკიდებელი საქართველოს“

ბატონი მინისტრების, მენეჯლების და სხვათა. აგერ, ტახტზე ზის ნიკოლოზ მეორის ნიღაბი

დღედაღასა და რასპუტინთან ერთად. აგერ: კულაკების ხროვა, მენეჯლები...

ნიღაბში მყოფი ყველა დატუსაღებულია. მათ დარაჯობს წითელი ჯარისა და საბჭოთა მოსახლეო-

ბის ფეხზელი თვალი. მოდიან...

მაგრამ ბოლო რომ აღარ უჩანს?.. გარვეინავს ორკესტრი.

ქიჟინობს დაფა-ზურნა, და ნიღაბსმული კინტრები უფლიან ბაღდადურს.

ტრიბუნიდან ისმის მისალმება და ლოზუნებმა: „ჩვენ მოვსპობთ კულაკობას, როგორც კლასს“

„ჩვენ ვარდავქმნით სოფლის მეურნეობას კოლექტიურ საფუძვლებზე“

„ჩვენ შევასრულებთ წარმატებით ხუთწლიან გეგმას ოთხ წელში“.

და მუშათა მწყრივების „ვაშას“ ძაბილში იფარება ინტუიციასტა საქმიანი ლოზუნგები...

დამემ სახე მოიბინა. შრომის შემდეგ სახეიმოდ გამოსული მუშათა

კლასი რეკლამუკიონიური სიმღერით აფეხილებდა ქუჩებს.

ტრიბუნიდან ბელადები ისროდენ ლოზუნგებს... ცოლდა... ქარი უზებრავდა, მაგრამ...

სახეიმოდ აღტკინებულ მუშათა კლასს რა შეაჩერებს?!

3. ჩხიკვაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. როგორ იზარდა პროცენტი — ი. აბაშიძე	1	2. ჯანყი — მოთხრობა — მათე ზალკახი	3	3. ჩვენი ცოცხალი საქმე — გახუთი	6	4. ევროპის პიონერ, კლასიური ზრძოლის ფრონტზე	8	5. ალი — მოთხრობა — ს. ერთაწმინდელის	10	6. დაადგინეს — ლექსი — შ. შაველიშვილის	11	7. გამჭვირვალე თვითმფრინვაები — შ. თ.	13	8. მოვდივართ — ლექსი — ვ. ჯ.	14	9. ნახშირი — ვ. ჩაჩბაიასი	14	10. ვიყო ინტონაციონალისტი — ვ. ფ.	16	11. ცხრა წლის თავზე — ვ. ჩხიკვაძე — გარეკანის მე-2 გვერდზე.		12. გადიდი ემ მოსავლიანობა, მამა კოლმეურნეობაში ჩაითრიე, ჩვენ კოლექტიური მეურნეობის მომზრე ვართ — გარეკანის მე-3 გვერდზე.	
---------------------------------------	---	------------------------------------	---	---------------------------------	---	---	---	--------------------------------------	----	--	----	---------------------------------------	----	------------------------------	----	---------------------------	----	-----------------------------------	----	---	--	---	--

28 თებერვალი

№ 4

წელიწადი მეხუთე

1930

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველს ბ. კ. ი. ცენტრალური და ტვილისის ბიურ-
ების და განათლების სახალხო კომისარიატის ზოგადი
აღზრდის მთავარმართველების ყურნალი ბავშვებისათვის

როგორ იყარა პროცენტი

— როგორ გეკადრებათ! ჩვენი რაიონის მოსახლე-
თა 6 პროცენტით კ-ლექტივში გაერთიანება შეუძლე-
ბელია ჩვენ ვინაობით ჩვენს რაიონს, აქ კოლქტივიზა-
ციას აუარებული დამატკობელი მიზეზი ვადიდო-
ბება წინ. ჩვენი რაიონის მხოლოდ ორი-ამი პროცენტი
თუ შესძლებს კოლექტივში გაერთიანებას. თქვენ კი 6
პროცენტს ვარუდობთ. შეუძლებელია, მოუხერხებელია.

— მაინც სცადეთ.

და როცა მეორე დღეს გლახთა კრებაზე დასვეს
საკითხი რაიონის 6 პროცენტით გაერთიანების შესახებ,
ხალხი აყვირა:

„აეწიოთ პროცენტი ოცამდე“.

ჩვენ სიხარულით ვიცანობით, მხრებზე ხელს ვცემ-
დით ამ ამბავებს და ვარწმუნებდით მათ, რომ ჩქარა
ეს პროცენტი კიდევ გაიზრდება, დაკმაუდება, დაუა-
კაცდება.

მესამე დღეს დღითი ასწლოვანი მუხების ქვეშ
დავინახეთ მშრომელი გლეხობის თავყრილობა. ქალაქიდან
ჩამოსული მუშა ბრიგადელები იდგნენ კრების შუაში, გააკი-
ოდენ ლოზუნგებს და დინჯად უხსნიდნენ გლეხობას კო-
ლექტივის რაობას.

ბოლოს უამრავი ხელი ცისკენ აიშარათა და გაისმა
ჯანსაღი შეძახილი: „ვაშააა“. მე ვიგრძენი გამარჯვება,
მოგნახე ჩემი მეგობარი, რომელსაც შეუძლებლად მიიჩნდა
ამ რაიონის 6 პროცენტით კოლექტივიზაცია და გან-
ცვიფრებულს შევსძახე:

— ამბანაო, გესმის? აი, კიდევ გაიზარდა პრო-
ცენტი.

ჩვენ გვეშურეთ კრებისაკენ.

იქ ვნახეთ ჩვენი პატარა, ჩვილი პროცენტი, საო-
ცრად გაზრდილი, ტანაყრილი, დავაყვაცებული. იგი
შკვე 50-მდე აღწევდა.

მე მივყარა ეს პროცენტი და მინდოდა მისი
სრული დაეჯავცებოდა მებხლა. რაიონი ღელავდა, ბიბო-
ქრობდა, იყო შეძახილი, სიმღერა და დაკოყრილი ხელე-
ბის ჰაერში შეტრიალებდა.

დათოვლილ შარავზეზე დაქროდნენ ბრიგადელები.

მახლობელი რაიონებიდან, მახრებიდან, ოლქებიდან,
ყოველდღე მოჰქონდათ ცნობები:

„პროცენტები იზრდება“.

ჩვენს რაიონშიც დიდხანს არ მოიხიდა ლოდინი.
ჩვენი პროცენტი იმ დღეებშივე გადიდდა, დასრულდა

და გვერდით ამოუღდა მეზობელ მთლიანი კოლექტივი-
ზაციის რაიონების პროცენტს.

ჩვენმა რაიონმაც ამასურად გამოაცხადა:—„გაუმარ-
ჯოს რაიონის მთლიან კოლექტივიზაციას“.

ბრიგადელები.

ვინ ტვილისიდან, ვინ ამიერკავკასიის სხვა საწარ-
მოო ქალაქებიდან, ვინ კიდევ რუსეთის შორეული მხარე-
ებიდან, ყველანი კი—მუშები, აგრონომები, სოფლისთვის
საჭირო საბჭოთა მოქალაქენი.

საოლქო ქალაქში სასვეს ჩამოსულებით სასტუმრო-
ები და ოჯახები.

ჩვენი ბრიგადა ღამეს უმთავრესად კომკავშირის
რაიკომში ათევდა. ვიქნინა განთიადამდე მავიდებზე.
განთიადისას მიეჭრად თ სოფლებისაკენ.

უდიდესი საქმე გააკეთეს ბრიგადელებმა სოფლად.
მათი დახმარებით ღარიბმა და საშუალო გლეხობამ თე-
ვიდან მოაცილა კულაკი, მათი დახმარებით შეუდგა
გლეხი მანქან ბით მიწდგრის დამუშავებას, მათი.... მაგ-
რამ სანამდე ჩამოთვალაო? მათი, ე. ი. მუშისა და მშრო-
მელი გლეხის, ურთიერთ დახმარებით შენდება ის დიდი
საქმე, რომელსაც ჩვენი ძირითადი მიზანი ეწოდება.

მთელს რაიონში განსაკუთრებულ მოძრავე ძალას
წარმოადგენდა კომკავშირეთა ბრიგადეები. ისინი, გარდა
კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობისა, საგაზაფხულო
თესვის სამზადისში აქტიურად ეხმარებოდნენ გლეხებს.
ჩვენს რაიონში ტრიერებზე, თესლის გასაწმენდად, მხო-
ლოდ კომკავშირული ბრიგადეები მუშაობდნენ.

განთიადზე ქალაქიდან ოთხივე მხრივ მიქროდნენ:
ეტლებით, ცხენებით, ქვეითად. იმართებოდა სოფლებში
მიტინგები და წყვდებოდა კოლექტივიზაციის საკითხები.

ყველაფრის ცენტრში დგას მუშა-ბრიგადელი.

სახელდახელოდ გამოსული საოლქო გაზეთები ეფინე-
ბოდა სოფლებს და მიჰქონდა წერილობითი რჩევა-დარიგება.

კოლექტივიზაციის ფრონტზე, ვანკულაკებისა და
მიგნებლებისაკენ სოფლის ვაწმენდის შენდევ, ბრიგადეები
პრაქტიკულად შეუდგნენ საგაზაფხულო თესვის სამზადისს.

მაგრამ აქ მოკლედ მოვიგონათ კულაკების ის პრო-
ვოკაცია და შემოტრევიით საქმიანობა, რომელიც მათ კო-
ლექტივიზაციის საწინააღმდეგოდ ჩაატარეს.

„ბრძოლა კულაკს“.

ის ამხანაგები, რომლებიც თვითონ არ დასწრებთან ამ დიად ამბებს, ვერასდროს ვერ წარპიღდებიან მას იმ სიცხოველით და მრავალფეროვნებით, როგორც იგი ჩვენს სოფლებში მიმდინარეობდა.

უკიდურესობამდე გამწვავდა კლასთა ბრძოლა. დაუნდობლად დაეჯახა ერთმანეთს ორი კლასი, ერთის მხრივ — ლაბიბი და საშუალო გლეხობა, მეორე მხრივ — კულაკობა.

ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა წინასწარ იცოდნა, რომ კულაკობა, როგორც კლასი, უბრალოდ აღადგინა დასთმობდა პოზიციებს, დაინახებდა შხამს და მოპირდაპირის სისხლსაც დაღვრიდა. მართლაც; კულაკი გამოროტებულად ეკვთა ლაბიბ და საშუალო გლეხს. მშრომელი გლეხი დიდი ხანია იცნობდა კულაკობას, როგორც მთავრულ კლასს, სოფლისთვის ზედმეტ ბარჯს და უყოველთვის ფიქრობდა მის, როგორც კლასის, განადგურებაზე. აი რატომ იყო, რომ მიმდინარე კამპანიის დროს საშუალო და ლაბიბი გლეხობა მსიურად მოითხოვდა კულაკთა მთელი ოჯახების სოფლიდან განდევნას. რასაკვირველია, საკითხს უმრავლესობა სჭრის, ესეც რომ არ იყოს, ამ დროს, ე. ი. მიმდინარე საგანგებულო სისოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს, გ. ჩაიდა კლასთა ბრძოლა, და რა დროს მოპირდაპირის შებრალებდა და დათმობაა. საშინელი თავდასხმებით და პროვოკაციით გამოვიდნენ კულაკები. იმათ იხმარეს ყოველგვარი ღონე საკუთარი მატერიალური ფუფუნების და უფლებების შესანარჩუნებლად. დასწვეს მრავალი კოლექტივის შენობები, ძნები, პური, დახოცეს ჩვენნი მოწინავე კოლექტივისტი ამხანაგები, გაანადგურეს კოლექტივების ქონება და სხვა.

განსაკუთრებულად სდევნიდნენ ისინი სოფლის კომკავშირელებს, რადგან ეს უკანასკნელნი მთელი თავისი ახალგაზრდული მეტროლი ენერგიით გამოდიოდნენ მათ წინააღმდეგ, უხსნიდნენ მშრომელ გლეხობას კულაკთა ნაღვლად მიზნებს, ააშკარაებდნენ კულაკის სახეს და მოუწოდებდნენ მათ კოლექტივიზაციისაკენ, ზვრადდნენ კულაკებს, რომ მათ კიდევ რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ სოფლისა და კოლექტივისთვის. როგორც გითხარათ, ეს

მუშაობა კომკავშირელებს იაფად არ უჯდებოდათ. ესინი განიცდიდნენ დევნას კულაკთა ოჯახებისაგან. ააშკარებულნი მავალითის მიყვანა შეიძლება ამ თქმულის ნათელსაყოფად. აი თუნდაც:

იმ დღეს სოფელ სასირეთში (კასის რაიონი) ცის ქვეშ გაიმართა გლეხობის კრება. ვადასწვეტეს კოლექტივის ჩამოყალიბება და მასში მშრომელ გლეხთა გაერთიანება. ასწიეს ხელედი, შემდეგ კალმები აიღეს და კოლექტივის სიაში თავისი გვარიებიც ჩასწერეს. ვადასწდა საკითხი. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფლის ერთ-ერთმა კომკავშირეულმა. მან ავრეთვე საჯაროდ ამხილა სოფლისათვის ზედმეტი ელემენტი — ბოძოლა გლეხი. მთელი დღის შრომით დაღლილი შინ დაბრუნებისას იგი ამ გლეხს წაეყარა, სრულიად მოულოდნელად შეეჩხება და კინაღამ მისი მხებერპილი შეიქნა, რომ თავზე არ წამოსწებოდა ლაბიბი გლეხი, რომელმაც იგი კულაკისაგან დახრბობას გადაარჩინა.

ჭეშე, რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რამდენი შემთხვევა იქნა აღრიცხული ჯირ მარტო ჩვენი ბრიგადის მიერ! ამდენსავე აღნიშნავდნენ ალბათ სხვა ბრიგადებიც. ასე რომ ყველას აქ მოყოლა შორს წავგიყვანის. თქვენ მანც შეგძლიათ წარმოადგინა იქონილი კულაკთა სიმეცეზე, თუ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: დასავლეთ საქართველოში გაბოროტებულმა კულაკებმა სასჯელის უძველესი ფორმა გამოიყენეს კომკავშირელების წინააღმდეგ. თქვენ იცით ალბათ უძველესი ფორმები სასჯელისა, ფეოდალური ურთიერთობის დროს არსებული: ჩამოღრჩობა, შნთით დაწვევა, ციხის გურღმულეები და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო საშინელ სასჯელად თვალბის დათხრა ითვლებოდა. აი რა სასჯელად ჩასთვალეს კულაკებმა შესაფერისად ლაბიბი გლეხობისათვის. მათ ერთ დღეს მზე ჩაუჭრეს აქტიურ კოლექტივისტს: დასთხარეს თვალები.


პატარა ამხანაგებო, თვითონ იფიქრეთ, რა უნდა გვაპასუხნა ჩვენ ასეთი საქმის ჩამდენი მხეცი კულაკებისათვის?

ისინი ვერ შევლენ კოლექტივში და, მამასადამე, რჩებიან სოფლისგან გარყეულნი, რადგან ჩვენნი სოფელი ახლა უკვე იგავე კოლექტივია.

ბრიგადელი ირაკლი აბაშიძე



ანბ. ნ. კრუპსკაიას სახელობის გორის ნ/კომუნერთა კოლექტივი.



სოც. საბუნების კოა-ფორმის კოლექტივი, ოს გლკედაკ აქვთ შეფორმა აღებული სიღნაღის პ/კოლექტივებს

ჯანსუქი

გენო ღელავდა, მოსვენებას ვერა ჰპოებდა, რაღაც აწუხებდა მას. ჯვარი... და არც იცოდა, ჯვრით გულზე შეიძლებოდა თუ არა ლენინის აკლამაში შესვლა. უნდოდა კიდევაც გაემყუდნებინა ამხ.ნაგისათვის, მაგრამ სირცხვილით თავი შეიკავა, ვერ გაბედა.

აი, კიდევაც მიუ.ხლოვდენ. გაისმა წინამძღოლის ხმა:

— სენა!

ზღვა პიონერებასა, აუარებელი რიგი ელოდებოდა თავის დროს, რიგს. ჩვენებმაც დაიკავეს თავისი ადგილი. კოლა კვლავ განკარგულგებას იძლეოდა. ამ დროს ცხენოსანი მილიციელიც მოვიდა და შეეკითხა:

— რომელი რაზმი?

ვასომ ოფიციალური ენით მიუგო:

— რაზმი 78. მესამე რაიონი.

ცხენოსანმა ჩახედა თავის უბნის წიგნაკში, თავის დაქვეით აღნიშნა:

— სწორე!

და განშორდა.

ბავშვები გასწორდენ. გენოც ფიქრობდა: «ქარვად დავაკვირდები და კლუბისათვის გადავიღებ, დავხატავ». მაგრამ უეცრეო გაახსენდა ჯვარი. დააპირა მოხსნა, ჩავრამ ამ დროს რაგებმა წინ წაიწიეს, და ისიც უნებლოდ წინ მიჰყვა.

საფლავის ირგვლივ ძლიერ სისუფთავე. წითელ-არმიელების საპატრიო ყარაული მხარბეუკიანი ვაჟკაცებისა. კომანდირი რეჟოლვერით, ყველგან ჩაქუჩი და ნამგალი. კედლები აკლამისა შიგნიდან წითელი ფერის იყო.

ელექტრონის ჩირაღდნები. სამარისებური სიჩუმეა, მხოლოდ ვენტლიატორი არღვევს მუხურობებას. ძირს აკლამის კიბებზე ჩაღან, სადაც ილიჩის კუბოა.

გენოს გული ფანქალებს, ტუჩები უხმება, ლუცები უხურს. მერე დერეფანში შეუხვიეს. პატარა ოთახია. კედელზე ჩარჩოში, მინის ქვეშ, ძველი წითელი დროშაა. კვლავ ელექტრონის სანთლები. ორი წითელარმიელი თოფებით. იქვე მინის კუბო. კუბოში ილიჩია—ისეთივე, როგორც სურათში, მხოლოდ აქ რაღაც უფრო პატარა გეგვენება, სახე—გაყვითლებული, ხელები—შვენიერი, მოხუცისა, დანაოკებული. ბავშვები ხელის აწევით საღამს აძლევენ. სიჩუმეა. ყველანი ლენინს მისჩერებიან. გენოს ხელები ცივმა ოფლმა დაფარა... მიუახლოვდა... ხელი ასწია... ხელებმა კი პირჯვარი გადასახა... ვაი სირცხვილი! რა ჰქნას? როგორ მოუვიდა? შუბლზე საღამის მაგიერ—პირჯვარი. თითქო ყველანი მას მისჩერებიან... ლენინიც. წითელარმიელიც. შურა კი მუშტს უღერებს. გაქცევა შეუძლებელია... გული უცემს. აი, კიდევაც კიბებზე ავიდენ, შვის სხივამც შემოანათა. «წითელარმიელი უთუოდ დამაპატიმრებს»,—ფიქრობს გენო. მაგრამ არა. პარტი წითელი მოედანი და სხვა არაფერი.

ეტანა კიდევაც გაიცინა:

— გენომ პირჯვარი გადასახა! დაინახეთ?

შურამ გადაიხარხარა. თავგადასხული გენო ქვაფენილს დასჩერებია. ფიქრობს: «კოლამ დამინახა თუ არა? ოლამ? ვასომ?» შინისაქენ ბრუნდებიან. გენო სდუმს; უხერხულად გრძნობს თავს. რამდენჯერმე ვასოს გახედა! იგი კი მას არ უყურებს. გრძნობს უკვე კოლასაც უამბო გენოს ამბავი. გენოს სახე გაუჭარხლდა.

¹ გაგრძელება. იხ. ჟურნ. «პიონერი»-ს № 2 და 3.

ყველანი დაიშალენ. კოლამ გენოს დაუძახა... ღიმილით მხარზე ხელი დაადო, მხოლოდ ამ ღიმილში სიმკაცრე იყო.

— ბიუ! რა მოგივალა? ისიც კი ვადმომცეს, ვითომც ჯვარსაც ატარებდე. მართალია?

— მართალია... მაგრამ... სიტყვები გადაყლაპა, რადგან ბავშვები შემოებენენ, და თვლები ძირს დაუშვა.

— ფრთხილად უნდა იყო, ჩემო კარგო, შეგნებულად—და განშორდა.

ბავშვები გაშტერებული თვლებით შესტკეროდნენ გენოს. გენო წრეს მოსცილდა და შინისაკენ გასწია. ბნელი კიბისაკენ შეუხვია. მარტოკა დარჩენა უნდოდა. კუთხეში ოლა დახვდა. მას თვალი ააჩრია, ვითომ ვერა ხედავს. მაგრამ ოლას ძახილზე გენოც გაჩერდა. გოგონამ ტბილად, უწყინრად და მეგობრულად დაუწყო დარიგება გენოს. ოლას სიტყვებმა გენო ონად დაამშვიდა.

— ჯვარი კი უნდა მოიხსნა! აბა რად გინდა? რას გიკეთებ?

— სიამოვნებით მოვიხსნიდი, მაგრამ ღედა მიჯავრდება.

— სულერთია, შენ არ ლოცულობ. მოიხსნი ჯვარი, ის გაბრუებს, გათრობს...

— ჰო, მართალია,—გენოც დასთანხმდა.

გოგონა თანაც ამშვიდებდა, გენოს კი ისევ ბოლბა შემოაწვა.

— ამის შემდეგ, რაც მოხდა, პიონერი აღარ ვიქნები...

— სისულელეა... მოიხსნი ჯვარს და გამოსაწორებ შეცდომასაც. ვინ არა ცდება? ლენინიც ზოგჯერ ცდებოდა.

— ლენინიც?

— როგორ არა, მაგრამ აღიარებდა თავის შეცდომებს და თვითვე ასწორებდა.

ორივენი გაწუმდნენ. სადღაც მატარებლის ხმაც მოიხსმა—მზიარული, ძლიერამოსილი, გრძელი. ბავშვები ირეოდნენ.

— ერთი წუთიც მაცადე,—მიმართა გენომ,—და გული გაიხსნა. გახსნილი პერანგის უბიდან ოქროს ჯაჭვი ამოიღო და ოლას სთხოვა გაეხსნა იგი.

ოლამ პატარა ხელებით მოსტკენა შესანბნევი, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა მისი გახსნა, ფრჩხილი მოიტეხა, თითიც დაიზიანა, ტკივილიც იგრძნო.

— გახსნა შეუძლებელია, ჩანს, ღიდი ხანია არ მოგიხსნია.

— არასდროს არ შემიხსნია, პატარაობიდანვე ვატარებ.

ეზოში გამოვიდნენ. საყელური შეიკრა.

— დედას უთხარა, იგი მოგხსნის,—სწყურებოდა გოგონა.

როცა გენოს მამა შინ დაბრუნდა, ღედა შემდეგი სიტყვებით მიეგება:

— ხომ ვაფრთხილებდი? არა გჯეროდა? აი შენი ვაჟიშვილი...

— რა მოხდა, რა ამბავია?

— გესმის? შენმა ვაჟიშვილმა მითხრა: ჯვარი მომხსენიო. ჯვარი, წმინდა ჯვარი...

— მერე რა? რა მოხდა ასეთი?

— როგორ თუ რა? ძვლები უნდა დამემტერია, შენ კი... აბა ვაბელოს...



კომლენტრენობა „სართიკალა“. აგრონომი უხსნის გლ ეხებს სას.სამეურნეო მანქანების აგებულებას

— კარგი, გეყოფა. მან ვთხოვა მხოლოდ.

— როგორ გამიბედა! გაგიგია წმინდა ჯვრის ღენინის უწყნარ ძონძებზე ვაყვლა? მე შენ გიჩვენებ...

— დედაც! ლენინს ნუ ეხები,—მოულოდნელად წარმოსთქვა გენომ.

ამ სიტყვებმა ყველანი გააშტერა. მამა, ეტყობოდა, გულში რაღაც სიხარულსა გრძნობდა, ყმაყოფილებას განიცდიდა.

მისმა შვილმა დღეს პირველად ამოიღო ხმა: საყუთარი, დამოუკიდებელი.

ღედა მალე მოვიდა გონს. როგორც უცხო ვინმე, ქპარსა და შვილს შორის იდგა იგი, მერე უცებ გაიხურა კარი და გავიდა.

— რა არის?—შეეკიხა მამა.

— ჯვარი უნდა მოიხსნა,—უპასუხა გენომ,—პიონერები ჯვარს არ ატარებენ.

როცა ღედა დაბრუნდა და ვახშამს შეუდგენ, გენომ ხელში კოჭვი აიღო. ღედამ შეურია:

— პირჯვარი დაგავიწყდა? პიონერო!

გენო შეხტა, კოჭვი ხელიდან გაუვარდა, ყელში რაღაც მოაწვა... ადგა, ფანჯარასთან მივიდა, თავს სუსტად გრძნობდა.

ღედას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მამა წამოღდა და შეაჩერა:

— გესმის, ვაჟუმე! ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები: თავი დაანებ!

ღიდი ხანია გენომ რაც გაიხანდა. არ ეძინოდა. რომელღაც ბ ნაში, ძოხა სართულში პაანინოს უკრავენ. მუსიკას ხმაც მალე შეწყდა. ბლიდან შემოიჭრა ორთქლმავლის ყვირილი, ვიღაც კიდევ ეზოში მღეროდა. მალე მამამაც დაასრულა თავისი სამუშაო და დაწოლას აპირებდა. სანაც ტანსაცემს გაიხიდა, გენოსთან მივიდა და შეუბნე ხელი დააღო.

ქედლის საათი არღვედა ოთახის მუღურობებს; აერთი, ორა, სამაი გენოც იძიორებდა საათან ერთად. მას არ ასვენებდა ერთფეროვანი მოსაწყენი ხმა საათისა... და ასე შეუმჩნეველად კიდევაც ჩაეძინა,



გვიან გაეღვიძა. ადგა. ჩაიცვა. ისაუბრა უგემურად. გენო სიწყნარეს გრძნობდა ირველიც. არარაობად მიაჩნდა უკვე ყოველივე. სიცოცხლე რაღაც უმიზნობას წარმოადგენდა. იყო წუთი, როდესაც გაიფიქრა: „პიონერებთან აღარ წავალ, თავს დავანებებ. ახლავე კოლას განეუჭხადებ“, და თვალეში მორეული ცრემლებით ძირს ჩავიდა ბაღში არავინ იყო. მერე მოაგონდა, რომ დღეს საკლუბო მუშაობა ჰქონდა და იქითკენ გასწია.

ბავშვები გულანად მიეგებენ. ოლა პირველი მივიდა მასთან. კლუბში ვაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა. რაიონის ინსპექტორიც აქ იყო და წვიდა, კოლაც მას გაჰყავა.

ვასო მოვიდა გენოსთან:

— აბა, მეც ესინჯავ, — პერანგი გაუხსნა.

გენო წინააღმდეგობას არ უწევდა და ცდილობდა როგორმე დაემალა თავისი მღელვარება.

— გახსნა შეუძლებელია, დაკავშირებული უნდა იყოს, — ირწმუნებოდა ვასო.

— ეჰ, თქვე ტუტუტუებო, აბა ვამიშვით! — მისწიპო-სწია ბავშვები გრიშა. — თავიდან წამოვიძრობო. აბა დახეთ!

მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა. თავიდან ჯაჭვის გაღმობრობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჯაჭვი ყურებთან გაჩერდა, აქეთ აღარ მოდის. ცხვირი გაიფხავინა, საფეთქლებში ჩაეჭირა. გენომ შეჰყვირა. კიდევ რამდენჯერუე სცადეს სხვა ამხანაგებმაც, მაგრამ ამაოდ. ახლა უფრო გაუთაწრეს, ვერაფერი მოუხერხეს.

— ღედას დაკეითხე? — ვასო შეეკითხა.

— ჰო!

— მერე?

— მიყვირა. ძაღლის შვალი მიწოდა, ნებას არ მძლევეს.

ვასომ უნუგემოდ ხელი ჩაიქნია და სხვებისაკენ გასწია.

გენომ ახლა კი იგრძნო მარტობა, უხერხულობაც მზიარულ ამხანაგთ შორის და ყველაზე ადრე გაუღდა შინისაკენ. გენომ, სანამ სახლში ავიდოდა, შეუხვია ეზოს კიბეებისკენ. გაიხსნა გული. ამოიღო ჯაჭვი და თვით შეეცადა გაღმობრო თავიდან. მოკაჩნდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ახლა უფრო გაანხლებით, მაგრამ ამაოდ: ჯაჭვი ცხვირზე ჩაეჭირა. ლოყები დაუქარხლდა, ჯაჭვი კი თვალეშის წინ უფრიალებდა, უფრო მეტად აღიზიანებდა მის გულსა და სულს. კოტა კიდევ შეისვენა და კვლავ შეეცადა. როგორც იქნა, შუბლამდე წამოაძრა. საშინელ ტკივილებს გრძნობდა. ჯაჭვი მაინც არ ემორჩილებოდა. ახლა გენომ ჯაჭვის გაწყვეტა დაიპირა. მოჰკუჭუა პატარა თითები, ჯაჭვს გაეუღულა გამოჰკრა... და კიდევაც ვაწყედა. ერთი ბოლო ხელში შერჩა. გენომ თავისუფლად ამოისუნთქა. კიდევ რამდენიმე წამი დაჰყო გენომ ამ ნახევრად ბნელ. ნესტიან ადგილას, როგორც გამოურულმა პატარამარმა, რომელიც ეს ეს არის გაექცა საკანს, თავი დაიხსნა...

ღედამ შიშისაგან შეჰკვილა, როცა დასისხლიანებული, დაცაწრული და გადაფთვრებული შვილი დაინახა. ტანისცემლი გახდა, გაბანა. ყურ-ქვეშე პატარა კრილობაც ჰქონდა, ყელიც კარგად დაზიანებული.



ამბ. მ. კახიანი ტრიბუნაზე 25 თებერვლის ზეიშის დროს

ღედა ქვეთინებდა, თანაც უჯავრდებოდა, ემუქრებოდა. გენომ მოგლეჯილი ჯაჭვი მაგიდაზე დააგდო.


ღედამ ლოგინი გაუსწორა და დააწვინა. ექიმის მოწვევაც დააპირა, მაგრამ გენოს უკვე ჩაქმნა — მაგარი და ტკბილი ძილით. დაბრუნდა მამაც. ღედა ბავშს დასტრიალებდა, ადარ ჯავრობდა, მხოლოდ ჩუმაღ ტიროდა.

ღილით გენომ მამის ხელის შეხებით გაიღვიძა. ღედის სურვილი იყო გენო დღესაც ლოგინში დარჩენილიყო; ავად არის და აციეგსო. — შვილი დამილუქეს, გზას აბიცდინეს. გამიჯყენს!.. და სამზარეულოში წავიდა.

გენოსაც ეს უნდოდა. სწრაფად წამოხტა, ჩაიცვა. მამა უტეკროდა, არას ამბობდა, თანაც ეთიშებოდა. როცა ღედამ გენო ჩაიკმული დაინახა, გაკვირვებით ველარა უთხრა ის. მამამ მას გაუახედა. სახით ანიშნებდა, ემუდარებოდა ჩუმაღ ყოფნას.

გენო თავისი მაგიდის ყუთში ფათურობდა, თავისუფლად გომნობდა ახა თავს და იმ ჩუმ, უსიტყუო ტანჯვას აღარ ვანიცილდა. ისაუხმეს. ჩაის შემდეგ გენომ მშობლებს მადლობა გადაუხადა. ნახატებით სასეს ჩანთას ხელი წამოავლო, ფანჯრიდან ძირს გადაიხედა. ბაღში ბავშვები სავარჯიშო მოედანს მართავდნენ. ორი პიონერი ბოძებისათვის უკვე ორმოვებსაც თხრდა. ავერ პაონერებიც მოდიან, ზურგით დიდი ბოძები მოაქვთ. გენო მამას გამოემშვიდობა. კარებს რომ გასცდა, თავისუფლად ამოისუნთქა. დიდი ჩქარა ნაბიჯებით გაბრბოდა და როცა უკვე ძირს ჩავიდა, კარებიდანვე შესძახა:

— სალამი ლენინელებს!



მისაზამი მავალითი

(სილნალი)

სავაზუფულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სილნალის ნ/კ რაიონიურომ დგზავენ სილნალის რაიონის სოფლებში პიონერთა 6 ბრიგადა, რომლებსაც დაავალა გამოეყვლიათ: მთლიანი კოლექტივიზაციის მსუღულობა, სავაზუფულო თესვის კამპანიისათვის მზადება, პ/კოლექტივებში საუბერების ჩატარება და წრებების ჩამოყალიბება. პიონერთა ბრიგადებმა გეგმა შესრულეს. ჩასვლისთანავე ბრიგადები შეუდგენ საემეს. კოლექტივში ჩამოყალიბებულ იქნა ავროწრებები, რომლებსი ხელმძღვანელობა და დავეალათ სოფლის ავრონიმებს და, სადაც ასეთი არ იყო, მასწავლეიელს. ბრიგადებმა დაარიგეს გლეხობაში სასოფლო-საფურერუო ხასიათის ლიტერატულო 300 ცალამდე. აღვიღებუ ირივადეიის მიერ სწოაოებდა გავეთის და ჟურნალის მხასილაი კითხვა. ბრიგადებმა სოფლად გაიოუშვეს კელის გავეთები (მაგ.: წნორი, არბოშიკი, მანაიანი, არბოშიკი და სხვა) საკიობოროლო საკითხებთან დაკავშირებით, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის გლეხობა.

ბრიგადებმა ზოგიერთ ადვილას გეგმის გარეშე ჩატარეს უფასო საღამო-წარმოდგენები (მაგ., არბოშიკი), სოფლის პ/კოლექტივებთან მოეწყო შმაბათობა უტილენდელულის შესავგოვეტლად. შეგოივლი იქნა რაადენიმე ათასი კილო უტილენდელული. ჩატარდა სოფლად პ/კოლექტივებში სამ-სამი კავიკის შეგოვება წყალდილობის წინააღმდეგ ფონდის შესაქმნელად.

თითოეულმა ბრიგადამ დაწერილბით გამოარკვია კოლექტივიზაციის მსუღულობა სოფლად, ადვილობოივი როგავნა. ციების მონაწილეობა თესვის კამპანიაში, თესლეულის შესავგოვებაში და სხვა. პიონერბრიგადებმა გამოაკლიეს სოფლებში ქობ-აპკითხველოები, (მაგ.: წნორი, არბოშიკი), სადაც აღმოაჩინეს ბევრი უფარვისი წივნი. ბრიგადებმა ჩააბარეს სამკითხველოებს სათანადო სავლეხო ბიბლიოთეკა და სხვადასვა სურათები.

პიონერბრიგადების ინიციატივით მოწვეულ იქნა სოფლის გლეხთა კონფერენციები (მაგ. ქვემო მანხანანი, ბოლდისხევი), სადაც გაიოხა თესვისთან დაკავშირებული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ პიონერბრიგადებს სოფლებში გლეხობა ადფრთოვანებით ხვდებოდა. ადვილობოივმა ორგანიზაციებმა მატერიალური დახმარებაც გაუწიეს პიონერებს. საერთოდ სილნალის პიონერთა ასეთი საქმიანობა მისაზამია სხვა პიონერორგანიზაციებისთვის.

პიონერბრიგადელი: გ. ლეწიშვიდი (სილნალი)

სახეხარის რაიონის ნ. პ. კოლექტივიზაციის მუშაობა პარგად მიმდინარეობს

სახეხარის თემში კოლექტივები ჩამოყალიბდა 1924 წელს, მაგრამ კოლექტივებში მუშაობა არ მიმდინარებოდა კარგად. ეს იმის ბრალი იყო, რომ არ ჰყავდა კარგი ხელმძღვანელები.

1927 წლის შემდეგ გადახალისდა ნ. პ. კოლექტივების ხელმძღვანელობა. დანიშნულ იქნა ახ. დათუნი ანასაშვილი და მან ფეხზე წამოაყენა კოლექტივები. სახეხარის რაიონში ახლა ჩამოყალიბებულია 13 პიონერკოლექტივი. კოლექტივები ზაფხულის პერიოდში აწუბოდენ ექსპურსიებს ღირსშესანიშნავ ადვილებში. აგრეთვე ნ. პ. კოლექტივები ავრკელდენ 100 ცალ „პიონერს“, 90 ცალ „ახალგაზრდა კომუნისტს“. ნ. პ. კოლექტივებში დიდი ნაბიჯები გადადგა უტილენდელულის მოგროვებაში.

სახეხარის რაიონის ნ.პ. კოლექტივებმა მოავგოვა 8000 კილო ნელეული. კელის გავეთები ყველა კოლექტივში არის. მთელი კოლექტივები მუშაობენ ახალი სისტემით.

ბავშვობი იოსებ მაისურაძე.

რა ამოღება მე-67 ნი. კოლექტივიში

ჩენი კოლექტივი სულ ერთი თვეარაც დაარსდა, მაგრამ მისი საქმე მაინც კარგად მიდის. გამოკადილია სარედაქციო კოლეგია და ამ დღებში გამოუშვეს კიდევ კელის გავთის. არსებობს სანიტა-ული სექცია; ხშირად მოდის ექიმი და გვიკითხავს ლექციებს.

ჩენის კოლექტივში ასწავლიან ქობ-კერვის. სურვილისამებრ ასწავლიან სხვადასხვა საკრავზე (მანდალინაზე, გიტარაზე, ვიოლინოზე და სხვა) დაკრას. სისტემატიურად ვავროვებთ უტილენდელულს.

კოლექტივში არსებობს წითელი წიგნსაცავი-სამკითხველო, მაგრამ რატომღაც ვავროვობით მოუწესივრებელია. კოლექტივში თავის დროზე იმართება მეცადინეობა, ვარჯიში და სხვა. კოლექტივი დაყოფილია რგოლებად და თითო რგოლს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი. კოლექტივი არ იწერს ჟურნალს „პიონერს“, აუცილებლოდ საკირობა ჩვენმა კოლექტივმა „პიონერი“ გამოაწეროს.

მე-67 საკ. საჩვენებელი შრ. სკოლის.

მოწაფე ჩიხია.

ახალი სისტემით მუშაობის საუკეთესო სუბიექტები

2 თვე სრულდება თითქმის, რაც ხარავოლის ბ. კ. ო. პირველი კოლექტივი ახალი სისტემით მუშაობაზე გადავიდა. ამ სისტემით მუშაობამ საუკეთესო შედეგები გამოიღო. მთელი კოლექტივი დაიკავე რგოლა: უფროსი, საშუალო, უმცროსი. რგოლს დავალებებს აძლევს ან თვით კოლექტივი, ან კოლექტივის საბჭო. რგოლი შესრულებულ დავალებას კოლექტივის საბჭოს წარუდგენს, საბჭოდან კი საკითხი კოლექტივში გადადის. ამანაირად მთელი კოლექტივი ამოძრავებულა.

რგოლებს შემდეგი სახის დავალებები ეძლევათ: კოაპერაცია და მისი მნიშვნელობა, თვისები კამბანია და პიონერთა როლი მასში, სამკითხველს და პიონერთა წითელი კუთხის მოწყობა და სხვ.

ტურნალი "პიონერი" 13 ცალი ვრცელდება. „ოქტომბრული“ ნახევარი წლით 1 ცალი გამოაწერილი. წარებიც არსდება, ასე რომ ახალი სისტემით მუშაობამ ფეხზე წამოაყენა კოლექტივი და ყველა ის საკითხი, რომელიც დღემდე მოუგვარებელი იყო, მოგვარებულია.

ბავშვობის ვერცხი

სოხუმის პიონერკოლექტივის მუშაობა

სოხუმში ქართული პიონერკოლექტივები 1925 წლიდან არსებობს. სათანადო ხელმძღვანელობა პირველ ხანებში მოისუსტებდა, ვინაიდან არ იყო ხელმძღვანელების საკმაო რიცხვი. ამის გამო საოლქო ბიურომ გახსნა ხელმძღვანელების მოსამზადებელი კურსები, რამაც გამოიწვია ახალი პიონერკოლექტივების დაარსება. ახლა სოხუმს უკვე ჰყავს მრავალრიცხოვანი ოახი პიონერკოლექტივი.

სამწუხარო მოვლენაა, რომ კოლექტივებს შეფი არ ჰყავდა და მატერიალურად ძალიან სიღვიწროვებს ცდილობდნენ: არა აქვთ სათანადო სახელმძღვანელოები, ლიტერატურა.

ბავშვები მოწადინებული არიან ყოველგვარი დამასათბებელი მუშაობის შესასრულებლად, იწყებენ სოცურგობრებაში სხვ დასხვა კოლექტივებს, უწყვეტ შემღებისდაგვარად დახმარებას საშეფო კოლექტივებს, მიდიან სოფლად და მართავენ წარმოადგენებს. უტილენდელულის მოსახლეობებლად თითქმის კომკავშირულებზე მეტ ინიციატივას იჩენენ. კომკავშირელები ატარებენ მათთან სხვადასხვა საგულისხმო სუბრებს.

კოლექტივები არსებობს სკოლებთან, მაგრამ სკოლის პედაგოგიური საბჭო მათ არ უწყევს არც მორალურ და არც მატერიალურ დახმარებას.

ქართულ მ-წლებთან არსებული პიონერთა კოლექტივი მხუფრადვე პიონერული ხალხის უძღვანის ტფილისის წირჩ პიონერებს და მოუწოდებს მათ, რომ სოხუმის კოლექტივებთან გააბან წერილობითი კავშირი.

კომკავშირელი გიორგი ბასილია



კომკავშირელი პიონერებში მუშაობს.

პატარა თუშაგუი

ზემო-ალვანში (ახეთის ოლქი) დღიდან კომკავშირის დაარსებისა უჯრედის ბიურომ თავის სამუშაო გეგმაში შეიტანა პ. კ. დაარსება და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა. გეგმის შესრულებისათვის დაარსდა ორი პიონერკოლექტივი, ერთი — წოვებში, 7-წლებთან, ამხ. გიორგი ყურულაშვილს სახელობის, მეორე-პირებითი 4-წლებთან, ამხ. მიხა კახიანის სახელობის. მეორე—პირველი კოლექტივის წევრები ლაპარაკობენ წოვეურად, მეორესი კი არა. მეცადინეობა სწარმოებს ქართულად.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზემო ალვანის დაშორებულია ცენტრს. იგი მოდებარობს ჩრ. კავკასიონის ქედის კლთებზე. ამ სოფლის მცხოვრებნი მომთაბარეობას მისდევენ.

ზაფხულის პერიოდში (დღი და პატარაკ) იმყოფებიან მთაში—ცხვართან, ზამთარში კი ბარად. მეცადინეობა სწარმოებს მარტო ზამთრობით, რადგანაც ზაფხულის პერიოდში მთაზე მიდის მოსახლეობა. პ/კ. ჩამოყალიბდა ამ უკანასკნელ ხანებში, 1929 წლის 29 დეკემბერს. ყოველი ბავში დანერგებულია ამ საქმიანობით. მუშაობა სწარმოებს ახალი სისტემით დაფორმებით. ბავშვები ვატაკებულნი არიან თავისუფალი საქმიანობით და შემოქმედებით, საზოგადოებრივ საქმიანობაში იღებენ მუშაობისდაგვარად მონაწილეობას. პარტუჯრელი არ უწყევს დახმარებას, მიმაგრებული მასწავლებელი არ აწარმოებს მუშაობას. მთავარი ნაკლი ის არის, რომ ხელმძღვანელების რიცხვი ნაკლებია. რამდენიმე და ოლქიურა ყურებს არ იბერტყენ ხელმძღვანელობისთვის. პიონერთა ცოდნის დონის ასაწივად გამოაწერილია 30 ც. გავითი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და 3 ც. ტურნალი „პიონერი“. იმედია, რომ ამ რაოდენობას გავზრდით ერთი-ათად.

ამრავლად ეს პატარა თუშები თავიანთი ჩოხებით და ქულაჯებით აქტიურად ებმებიან პ. კოლექტივის რიგებში. ჩვენ პიონერებს სკირდებთ უფრო მეტი ხელმძღვანელობა და გარდაქმნა, რადგანაც აქ რელიგია ძლიერ არის მოკალათებული და ძველი ზნე-ჩვეულება არაა აღმოფხვრილი. ქალები ისევ ჩადრს ატარებენ.

ვეროვნის პიონერები პლასიური ბრძოლის ფრონტზე

საქართველო
ხალხური

პიონერებს სცემენ.

დიუსელდორფში (გერმანია) პასუხისგებაში მისცეს მცირეწლოვან პიონერ მოწაფე გოგონას ცემისათვის ერთი მასწავლებელი ქალი. ის გამართლებულ იქნა სასამართლოს მიერ იმ მიზეზით, რომ პრუსიის პროდესიონალურ სკოლებში მოწაფეების ცემით დაჯა არაა

კლასიური ბრძოლა სასკოლო სკამებზე.

ჰოლანდიის პიონერული ორგანიზაცია პირველად ატარებს სერიოზულ კამპანიას სკოლებში. პიონერების საქმიანობა შედეგად ოც სკოლას — ამსტერდამში და გავაში. როდესაც სკოლებში გამოჩნდა პიონერული საავტოტაციო მასალა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ბევრი მოწაფე სკოლიდან გამოვადების საფრთხის წინაშე დადგა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვები უარს აცხადებდნენ ემდებოდა ნაციონალისტური სიმღერები და ამასთან დაკავშირებით სწავლაც კი იქნა შეწყვეტილი. ახლა ჰოლანდიის პიონერები აპირებენ სკოლის გახუთების გამოცემას. პირველ ასეთი გახუთი გამოცემულ იქნა ამსტერდამში, ამას მოჰყვება სხვა გახუთებებიც.

პიონერების ამ გამოვლენებმა გამოიწვია ბურჟუაზიული და მენშევიკური გახუთების მხრივ პიონერების დევნა.



პიონერები დახვასთან

აქრძალული. შეკითხვაზე ამ საქმის გამო, პრუსიის სახალხო განათლების სამინისტრომ შემდეგი პასუხი გასცა: უმალესი სასამართლოს გაგებით, პროფსკოლების მასწავლებლებს არ შეიძლება უარი ეთქვას მასში, რომ მოწაფეების აღზრდის მიზნით ხანდახან მიმართონ ხოლმე ასეთ ზომებსაც. ასე რომ მასწავლებლებს „უფლებია“ აკეთ სცემონ პატარა მოწაფეებს და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი პიონერები არიან. მაგრამ მოწაფეები ებრძვიან ამ „უფლებას“ კომკავშირის ხელმძღვანელობით.

პოლონელ პიონერებს ციხეში ყრიან.

პოლონეთის პიონერთა კავშირი ფაშისტური დიქტატორის აუწყებელი ტერორის პირობებში მუშაობს. ბურჟუაზია არა მარტო ექსპლოატაციას უწყევს მათ, არამედ ტანჯავს კიდევ საწარმოებში პროლეტარულ ბავშვებს. ბავშვების ათეული ათასები საშინელ პირობებში მუშაობენ და განაპოჯელოდ კი გროშებს იღებენ. ბურჟუაზია მკაცრია პიონერორგანიზაციის მიმართაც. ჩვენ ვიცით 100 შემთხვევაზე მეტი, როდესაც 12—15 წლის პიონერებს სცემა პოლიციამ და ჩაყრა საპურობილგეში.

მაგრამ ყაშიზმა ვერ შესძლო პიონერორგანიზაციის განადგურება. პიონერული ორგანიზაცია პოლონეთში არსებობს, იზრდება და მტკიცდება. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ კავშირი აერთიანებს დაახლოებით 5.000 პიონერს.

პოლონეთის პიონერული ორგანიზაცია თავის მუშაობას ეწევა არა მარტო სკოლებში, არამედ ყველა მსხვილ წარმოებაშიც, სადაც-კი მუშაობენ ბავშვები. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პიონერები საუკეთესოდ იცავდნენ ხოლმე ბავშვების ინტერესებს. როდესაც პიონერები ატარებდნენ ხოლმე კრებებს სკოლებში ან წარმოებებში, მათი ლოზუნგები დიდ თანგრძობის პოულობდა მუშებში.

წითელი ყელსახვევი — დატუსაღების საბაბი.


ფინლანდიის პიონერები დიდ დევნას განიცდიან პოლიციის მხრივ.

რამდენიმე კვირის წინად გამოქვეყნდა დადგენილება, რომელიც კრძალავს წითელი ყელსახვევისა და „საშიშარი“ პიონერული ნიშნის ტარებას. ცერდნობოდა რა ამ დადგენილებას, პოლიციამ ბევრ ადგილას დაატუსაღა პიონერები, რომელნიც ატარებდნენ წითელ ყელსახვევს. აბეში პოლიციამ დახურა კრება, იმის გამო, რომ შეკრიბულ პიონერებს ჰქონდათ გაკეთებული აქრძალული წითელი ყელსახვევები.

ჭელსინგფორსში აქრძალულ იქნა ამავე მიზეზით ყველა პიონერული დღესასწაული.

სამხრეთ ფინლანდიაში პოლიციამ აუკრძალა 15 წელზე უმცროს ბავშვებს პიონერულ დღესასწაულზე მონაწილეობა.

ჭელსინგფორსში პიონერებმა მოაწყვეს დემონსტრაცია პოლიტიკურ პატიმართა პატივსაცემად. პოლიციამ დაატუსაღა ხელმძღვანელები და დაშლა დემონსტრაცია.



სილნალის პ/კოლმეტვის სტუმბუკი კავალერის საწმელი მასალაზე არჩევს

წითელ რევოლუციონერ აკივის ბელადები



ამხ. სტალინი



ამხ. ვოროშილოვი



ამხ. ლურჯონიკიძე



ამხ. კლავია

ს ლ ი

ა.

— ფრთხილად ჩარე, ალი, არ შეგნიშნონ!.. — უთხრა შეილს უსუფამ და ნაეში ჩასვა.

— ნუ გეშინია, მამა, პირველად ხომ არ მიმაქვს...

— აბა, ღურსუნ, დანიშნულ ადგილას, — უთხრა მენავეს.

პატარა ნაევე იალქნები აეშეა...

სკუტარიდან პერას უბნისაკენ აიღეს გვირი...

ალი სტამბოლელი პიანერია; მისი მამა, რომელსაც ახლა პოლიცია დაედებს, როგორც კომუნარს, ამასწინად მომხდარი ფაფიკის ხელმძღვანელობის გამო, კონსტანტინეპოლის ევროპულ ნაწილში, ვალაქაში, თუთუნის ქარხნის მუშაა და ახლა ძველ ნაწილში, სკუტარაში, იმალება ძმასთან, მებადურ რეგებთან, საიდანაც კავშირს არ სწყვეტს ამხანაგებთან, ალის შემწეობით...

მსოფლიო ომის შემდეგ ოტომანის ხალი მთავრობა ანგორაში გადავიდა და კონსტანტინეპოლი პორტო ფრანკოდ, თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა გამარჯვებულ სახელმწიფოების მიერ. დადრანელის ორივე ნაპირზე სიმბაგრენი გაუქმდა; ყველას მიეცა თავისუფლად გავლის ნება და ახლა იქ ვინ გინდათ, რომ არ იყოს! ქალაქი ისევ თურქეთის ხელშია და იმამლთა პოლიცია იცავს...

თვალწარმტაცია ბოსფორის სანაპირონი, შავი ზღვის ბოღაზიდან მარმალლოს პატარა ზღვამდე...

ფორთახლის ხეები, ლიმონის ბუჩქები, ნარინჯის დაზნექილი ტოტები და ზეთისხილის ნარგავები ერთმანეთს ეცილებიან სილამაზეში.

ბ.

საღამო იყო...

ნამგალა მთვარე სამხრეთით ამოგორდა და გადმოეცა ფირიუზი ცის კაბადონზე...

ნელი სიო ოდნავ არხვეს ყელმოღერებული თეთრი გედებივით მოკუარავ ნაევების აფრებს და ქაოზის უფარცხნის ბოსფორის მარამაშალეჩაქან ზვირთებს...

აქა, მრავალ პატარა ხომალდს შორის, აგრეთვე უდიდესი საოკეანო გემები უცხო სახელმწიფოების, ნაირი ბაირალებით; ცოტა მოშორებით მოჩანს საშუალო ხომალდი, წითელდროშინი ანძით, რომელზედაც სიკაცხლით აღსაყვს ახალგაზრდა მეზღვაურებს ცეცხლგაუმართავი...

ბაქანი იფაფრება მხიარულებაში...

პატარა ნაეს ფრთხილად უხდება ამდენ ხომალდში გზის გავალვა...

ღურსუნი მარად უსვამს ნიჩბებს...

— ის ჩენი მეგობრის, საბუთა კავშირის, ხომალდია! — გადაულაპარაკა მენავეს ალიმ და ხელის მაღლა აწევით საღამო მისცა დროშას...

მხიარულება მეზღვაურებმა შემოსცინეს და სიხარულით ხელი დაუქნიეს...

ეს შეუწინავეი არ დარჩა სანაპირო რაზმის უფროსს მუხთარს და ორ ხელქვეითს უბრძანა:

— აბა, მზად იყავით!.. ნაეში!.. მხედველობიდან არ გაუშვით ის!..

პოლიციელები მოტორიანი ნავით აედევნენ ფრთხილად...

— ალი, ჩვენ შეგენიშნეს! — გააფრთხილა მენავემ.

— არაფერია... შენ გეზ მარცხნივ აიღე, ძია ჰასან-ბეის ლუღანისაკენ, მე ვიწრო ქუჩით მოვეხუბვე; იქ დამხვდება მახმუდ თეფფიკი და გადაეცემ ამას!.. მიუგო ალიმ, რომელიც თვალს არ აშორებდა მდევრებს.

ღურსუნმა ნიჩბებს აუჩქარა...

— მალე, მალე!.. გვეწვიან!

— აგრე!..

და, რა ალიმ უკვე ისკუბა ნაპირზე და ქუჩას მისცა თავი, მოტორიანი ნავიც დაეწია.

— სდექ! — უბრძანეს ღურსუნს.

— რა გინდათ, ეფენდიებო?

— რა მოგქონდა? კონტრაბანდა?..

— არა, ვილაღი ბიჭი ჩაჯდა სკუტარაში და ის გამოვიყვანე ასე ვასწია, ვგონებ, — და ხელი მეორე მხარეს გაუშვირა.

— სტყუო, ბეითაღმან! — შეუტია ერთმა მათგანმა, ნავის გაჩხრეკის შემდეგ სილა გაჰქრა და ამხანაგებთან ერთად აედევნა ალის.

მენავემ ბრაზით კბილები დააკრუქუნა, მაგრამ უღონო იყო მათთან...

გ.

— ძია, მახმუდ! — შესძახა ალიმ, რა ლუღანაში შეირბინა და მახმუდ-თეფფიკი შენიშნა, რომელიც ნარდს ეთამაშებოდა ლუღანის პატრონს.

— რა იყო, ალი? — შეეკითხა, რა მეორე ოთახში გაიყვანა.

— რა და... აი, მამამ გამოპატანა... — უბიძნ ამოიღო პროკლამაციები, წერილი და ვადასცა.

— რა მოგდის? დალილიზარ... კანკალები...

— არა, ეს ისე... მოგზობლი და...

— რა და?

— რაზემლებმა შემნიშნეს, დამედევნენ, საბუთა გემის დროშას საღამო რომ მიეცეო, ალბათ მაშინ... იქნება აქცე შემოვიდენ და დამპაღე სადმე, თარემ ორჯერ შენიშნული ვარ...

— ნუ გეშინია... წამო აქეთ... — და უსანა კარით ეზოში გაიყვანა. — შენ ასე გადი და აია-სოფდის

ქუჩით იარე შინისკენ; მე კი უკან დაებრუნდები, რომ ეჭვი არ აღიონ; იქიდან წავალ. ამის შემდეგ ფრთხილად იყავი ხოლმე, ნუ ხარ ცეკუქი. სალამი რომ არ მიგცე, ვერ მიხვდებოდნენ...—ლიმილით დაამაყრა მახმულა სიტყვა და ხელი გაუწოდა, რა უკვე ალაყაფის კართან მიიყვანა.

— რა გქნა, ვერ მოვიფიქინე და...— მიუგო ალიმ მორცხვად.

